# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 638

"2" დეკემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - აკაკი ალადაშვილის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ." ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტის და საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 25 ნოემბრის დადგენილების (N3-Iმს - XIმპ) თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს - აკაკი ალადაშვილს ვადამდე შეუწყდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება 2024 წლის 26 ნოემბრიდან.

განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე